სოციალური და ეკოლოგიური ფედერაცია

№18

დეკემბერი

ბავშვთა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი THE SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FUND

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

საქართველოს 3. მორეშკინის სახელობის სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის გაზეთი 2005 წ.

ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

ტილოსტეთ დამდეგ შობა ახალ წელს!

23.04.99 01.06.2000
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში“
სიმპოზიუმი №1 №2
20.05.99 01.06.2000
„ორთოპედიული სკოლა“
სიმპოზიუმი №1 №2
17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“
01.06.2000 01.06.2001 01.06.2002 01.06.2003
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“
28.02.2001
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში“
01.06.2001
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა“
სიმპოზიუმი №1
01.06.2001 30.05.2002 01.06.2003
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
სიმპოზიუმი №1 №2 №3
13.02.2002
„ადამიანის გენომის პროექტი“
10.03.2002
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია
5.11.2002 28.11.2002
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია“
7.11.2002
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“

25.XII.98
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“
01.VI.99-9.IX.2005
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია“
25.XII.99
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“
XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს
01.VI.2000
IV კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
27.III.2001
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“
01.6.2001
V(XIX) კონფერენცია „მიძღვნილი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი“
30.05.2002
VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
04.09.2002
შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან
06-07.11.2002
VII-VIII-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები“
30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში“
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9
4.04.2003
პედიატრიის აქტუალური საკითხები. IX კონფერენცია.
1.06.2003-1.06.2004
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)
19.12.2003
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II კონფერენცია
22.12.2004; 1.06.2005
პედიატრიის აქტუალური საკითხები. XII-XIII კონფერენცია.

XIX კონფერენცია
XIX CONGRESSE

"პედიატრიის აქტუალური საკითხები"
CONTEMPORARY ISSVES OF PEDIATRICS

27.12.2005. TBILISI 27.12.2005. თბილისი

(თსსუ პროფ. გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის სააქტო დარბაზი)

XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეს-რელიზი

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი შეიქმნა 1998წლის 9 ოქტომბერს.

ის ისახავს კეთილშობილურ მიზანს განახორციელოს სოციალური პედიატრიის განვითარების პროგრამები, როგორიცაა დედათა, ბავშვთა და მოზარდთა სოციალური უფლებების დაცვა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ფონდს გააჩნია დიდი ორგანიზაციული გამოცდილება, შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გამოცდილი კადრები.

ფონდის გამგეობის თავმჯდომარეა პროფესორი გ. ჩახუნაშვილი, მასში მოღვაწეობენ და გაფართოებული გამგეობის წევრები არიან: პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. ა. კვეზერელი, პროფ. რ. კუტუბიძე, პროფ. ნ. უბერი, პროფ. თ მარინაშვილი, დოც: დ. ტაბუცაძე, ზ. შაქარაშვილი, მ. მირიანაშვილი, ნ. ბადრიაშვილი, ვ. გეგეშიძე, ნ. თოფურიძე, თ. მიქელაძე და სხვები. ფონდთან თანამშრომლობენ ცნობილი ექიმები, პროფესორები, საზოგადო მოღვაწეები, იურისტები, რომლებიც ატარებენ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების საქველმოქმედო აქციებს(უფასო გამოკვლევები, მკურნალობა, კონსულტაციები). ამ აქციებზე, რომელიც ჩატარდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (მთა-თუშეთი, აჭარა, კოდორის ხეობა, სიღნაღი, ახალგორი, ბახმარო-ბეშუმი, ბაღდადი, რუსთავი, აბაშა, გურჯაანი, მარნეული, გორი ჩოხატაური, ლანჩხუთი, საგარეჯო, ფასანაური, ზუგდიდი, ავჭალის ბავშვთა კოლონია, წყნეთის ბავშვთა სახლი და სხვა მრავალი) კომპლექსურად გაისინჯა 69 700-ზე მეტი ბავშვი და მოზარდი. შედეგად პრაქტიკულად შეიქმნა მოსახლეობის ავადობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათი კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ეფექტურობის ზოგადი სურათები. შემუშავდა რეკომენდაციები და შეიქმნა პროგრამები ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

ორგანიზაციას აქვს დიდი გამოცდილება სამკურნალო-პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო და სანიტარულ-ჰიგიენური განათლების პროგრამების მართვის და მონიტორირების საქმეში. UNICEF-ის მხარდაჭერით განხორციელებული აქვს პროექტი „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დროებით იზოლატორებში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ღონისძიებანი", რომლის ძირითადი სტრატეგია იყო: 1) ციხეებსა და დაკავების ადგილებში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა სამედიცინო შემოწმების საფუძველზე ჯანმრთელობის შესაბამისი ღონისძიებების გატარება (მკურნალობა, რეკომენდაციები და ა.შ.), 2) ბავშვთა ფსიქო-სომატური მონაცემების საფუძველზე სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავება, 3) ჯანმრთელი ცხოვრების წესის უზრუნველყოფისათვის სამედიცინო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება და შესატყვისი ლიტერატურის მიწოდება. პროგრამის შესრულების პროცესში გამოვლინდა, რომ ამ კონტიგენტში საკმაოდ მაღალია ტოქსომანიის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, ტუბერკულოზის, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციათა, ფსიქო-სომატური დარღვევების რიცხვი. პროგრამის შესრულების ანალიზით დაისახა განსახორციელებელი ამოცანები: 1. სასწრაფოა მსჯავრდებულთა იზოლაცია დანაშაულის კატეგორიებისა და წლოვანების მიხედვით. 2)მომავალი დედობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილია ბავშვთა ასაკში „ქუჩის ბავშვებში" გოგონათა სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას. 3) აუცილებლობა მოითხოვს ბავშვთა და მოზარდთა ასაკში ტოქსომანიის, ნარკომანიის, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციათა, მათ შორის აივ ინფექციის პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების გატარებას, 4) სკოლა-სემინარები არსებული პრობლემის ირგვლივ – სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებთან 5) სპეციალურ გადაცემათა ციკლის შექმნა რადიო-ტელევიზიაში, პრესაში აქტიური

გაშუქება.იხ. პროექტი „მონანიება"). პროგრამაზე მუშაობის პერიოდში პერიოდულ პრესაში არსებული პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნდა სტატიები: 1)„რისკის ჯგუფის" ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი. 2) ფრთხილად, თქვენს წინ ბავშვია! 3) ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომლითაც უნდა ვიაროთ! 4) ბავშვთა და მოზარდთა დამნაშავეობა ექიმ-პედიატრის თვალთახედვით.

ინვალიდთა ლიგასთან ერთად შემუშავებული აქვს პროგრამა „გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვის პრევენციის მეთოდოლოგიის შემუშავება, პროპაგანდა და პირველადი სოციალური დახმარება ბავშთა ასაკში" პროგრამის მიზანს წარმოადგენს, შეგვესწავლა სასწავლო დაწესებულებებში არსებული ჰიგიენური მდგომარეობა, შემუშავდეს არსებული დარღვევების პრევენციის მეთოდები და როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე მათ მიკროსოციალურ გარემოს მიეწოდოს ინფორმაცია შრომისა და დასვენების დროის სწორი განაწილების, ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის შესახებ, სწორი კვების თაობაზე ანუ მოხდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

„ბავშვთა აღზრდისა და განვითარების ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამა", რომლის სტრატეგიული მიზანი და ორიენტირებია: 1) დედაქალაქის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის განვითარების უზრუნველყოფა. 2)დედაქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებში მომავალი თაობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება. 3)სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებში არსებული ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა და არსებული დარღვევების პროფილაქტიკა. 4)დედაქალაქის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის საკითხებში განათლების ხარისხის განსაზღვრა და უზრუნველყოფა. 5) ბავშვთა და მოზარდთა სწავლებისა და აღზრდის პირობების გაჯანსაღება და მათ სასწავლებლებში ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვა.

მესამე წელიწადია ანხორციელებს ქ. თბილისის სამკურნალო დაწესებულებებში 0-დან 3-წლამდე ბავშვთა კვების პროგრამას. საქართველოს თავდაცვის ფონთან ერთად ფონდმა შეასრულა „საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე და დაღუპულთა ოჯახებისსამედიცინო-სამკურნალო, პროფილაქტიკური და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა".

2004წ განახორციელა: I. ქ.თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის პროგრამები:

1) „ქ. თბილისში სკოლის ასაკის ბავშვთა სკოლიოზის, მათი რისკ ჯგუფების გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებანი"

2) „თბილისის ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში (ბავშვთა სახლები, სკოლა-ინტერნატები, ბაგა-ბაღები, პანსიონატები, თავშესაფრები) მყოფ აღსაზრდელებში სომატურ დაავადებათა პრევენციული და რეაბილიტაციური ღონისძიებანი"

II. მონაწილეობა მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში:

1) სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2004წლის სახელმწიფო პროგრამის -სოციალური სფეროს საორგანიზაციო-მეთოდური და სამართლებრივი უზრუნველყოფის კომპონენტს „სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში."

2) მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის

- 0-3წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტის მონიტორინგი

III 2005წელს ანხორციელებს CRDF პროექტს: Role of viral pathogens in systemic infections in infants from the newborn intensive care units in Georgia "

3. USAID end WORLD LEARNING – თან შექმნილი სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის სამუშაო ჯგუფი (ხელმძ. მ. მირიანაშვილი) მუშაობს ინვალიდთა ინტერესებისადმი საქართველოს ეროვნულ მოქმედებათა გეგმის პროექტზე.

2004წლის ოქტომბერში სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად კოალიციაში გაიმარჯვა USAID end WORLD LEARNING-მიერ გამოცხადებულ კონკურსში სახელწოდებით „ვისწავლოთ ერთად ცხოვრება" რომელიც მთლიანად ეძღვნება ა.შ.შ. ინტერესებისადმი კომპანიას. ქნი მ. მირიანაშვილი ამ პროგრამის კოორდინატორია.

მონაწილეობას ღებულობს კონკურსში:

1. "Early diagnosis and treatment of Celiacia"

2. „Prediction of current and optimization of treatment and rehabilitation of the patients with Mucoviscidosis"

3. "Early diagnosis and treatment of Lactose intolerance"

ორგანიზაციას ჩატარებული აქვს სამუშაო შეხვედრები სახალხო დამცველის ოფისში საკითხზე - „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა" და „გლობალური მარშის" წარმომადგენელთან კაილაშ სატიარტთან. გამგეობის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო ასოციაციის „კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, გეოპოლიტიკა" სდომაზე, სადაც განიხილებოდა საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა. ორგანიზაციას საერთოდ სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარებული აქვს თორმეტი კონფერენცია და 18 სიმპოზიუმი.

ყოველ წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს უძღვნის კონფერენციას რომელზედაც განიხილება პედიატრიის აქტუალური საკითხები, ბავშვთა უფლებები და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის საანგარიშო მოხსენება (01.06.2004წ, 01.06.2003წ, 01.06.2002წ, 01.06.2001წ, 01.06.2000წ)

- „ჯანმრთელი ბავშვი მშვიდობიანი კავკასია"(01.06.1999)

„ახალგაზრდა პედიატრთა XVII-Iკონფერენცია" (01.06.2000წ)

კონფერენცია: „ბავშთა მკურნალობა XXI საუკუნეში"(01.06.2000

კონფ: „რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები"(28.02.2001

კონფ: „ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა"(01.6.2001)

კონფ: ‚ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"(2001)

(გაგრძელება მე-4 გვ.-ზე)

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“



ქების სიგელი

THE SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FUND

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

ბატონ!

საქართველოში კეთილშობილური მიზნების განხორციელებისათვის, დედათა, ბავშვთა და მოზარდთა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო საქველმოქმედო აქციებში ჩაბმისათვის.

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის გამგეობა

1 ივნისი 2001

თბილისი

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის გამგეობამ საქართველოში კეთილშობილური მიზნების განხორციელებისთვის, დედათა, ბავშვთა და მოზარდთა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო საქველმოქმედო აქციებში ჩაბმისათვის ქების სიგელები გადასცა: თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის დირექტორს პროფ. **რამაზ კუტუბიძეს**, GIC -ის დირექტორს **შოთა კოზმანაშვილს**, ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ პრეზიდენტ **დარეჯან კუხიანიძეს**, ვ. მჟავანაძის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარეს **ნინო მჟავანაძეს**.

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის სტრუქტურა



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეს-რელიზი

(მეორე გვერდიდან)

- შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში„არასრულწლოვანი დანაშავეები, მათი უფლებები და რეალობა”(27.03.2001)

- შეხვედრა „გლობალური მარშის” წარმომადგენელთან კაილაშ სატიარტთან (04.09.2002

კონფ: „ადამიანის გენომის პროექტი” (13.02.2002)

კონფ: „თანდაყოლილი იფექციების თანამედროვე ასპექტები” (6.11.2002)

კონფ: ,,მუკოვისციდოზით დაავადებულთა სამედცინო და სოციალური ასპექტები” (7.11.2002)

კონფ: ,,მოზარდთა სექსუალური, ბიოსამედიცინო, სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები” (20.12.2002)

კონფ: „მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და იმუნოკორექციის პრინციპები პედიატრიულ პრაქტიკაში”(31.05.2003წ)

კონფ: „ენტერალური და პარენტერალური კვების პრინციპები. (04. 04 2003წ)

- „საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია” (19.XII.2003წ)

- „პედიატრიის აქტუალური საკითხები” –ეძღვნება გენეტიკოსის ვ. მო-

როშკინის ხსოვნას. (22.XII. 2004წ)

- 2005 წლის 1 ივნისს ჩატარდა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XIII კონფერენცია – „პედიატრიის აქტუალური საკითხები“, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

2005 წლის 9 სექტემბერს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მიერ სასტუმრო თბილისი მერიოტში ჩატარდა II საერთაშორისო კონფერენცია (ჯანმრთელი ბავშვი – მშვიდობიანი კავკასია). კონფერენცია გახსნა პროფ. აკად. რამაზ კუტუბიძემ:

ქალბატონებო და ბატონებო! მაქვს პატივი მოგესალმოთ კონფერენციის – „ჯანმრთელი ბავშვი – მშვიდობიანი კავკასია“ მონაწილეებს და გისურვოთ წარმატებები. მადლობას გიხდით ყველას, ვინც თავისი მონაწილეობით ხაზს უსვამს დღევანდელი კონფერენციის აქტუალობას, რომლის ძირითადი თემაა „ბავშვთა კვება და მკურნალობა XXI საუკუნეში ეკოლოგიური თვალსაზრისით“.

დღევანდელ კონფერენციას ესწრებოდნენ: თსსუ რექტორი დავით თელია, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი დემურ ბაშალეიშვილი, სრულიად საქართველოს ქალთა კონგრესის თავმჯდომარე ლია კიკნაძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მანანა ბერუჩაშვილი, გია ლომთაძე და სხვ.

კონფერენციის II პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა თსსუ პროფესორი დავით ზარნაძე, რომელმაც წაიკითხა მოხსენება:

ბავშვთა ასაკი განსაკუთრებით საინტერესოა და მნიშვნელოვანია მისი ყველაზე დინამიური პერიოდით ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარებისა. ბავშვის განვითარების თვითეული პერიოდ – ახალშობილი, ჩვილი და ადრეული ასაკი, სკოლამდელი და სასკოლო ასაკი, ხასიათდება ორგანიზმის მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური შენების თავისებურებებით. ამას ემატება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის, როგორც ინდივიდის ჩამოყალიბებას, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორები.

თანამედროვე პერიოდში პედიატრიულ მეცნიერებაში საყოველთაოდ შეიმჩნევა ტენდენცია ბავშვის ზრდისა და განვითარების ბიოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბების, კანონზომიერების შესწავლისა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. აღნიშნული მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონისთვის, სადაც უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დაძაბულობამ, პოლიტიკურ-ეკონომიური ფორმაციის შეცვლის პროცესმა, განსაკუთრებით მწვავედ დააყენა საკითხი ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ. ყოველი ერის მომავალი განისაზღვრება ახალგაზრდა თაობის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, რომელზედაც ზრუნვა თვითეული ჩვენგანის, სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს.

საყურადღებოა ბავშვთა განვითარების ნეონატალურ პერიოდში ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენის, დღენაკლ ბავშვთა გამოზრდის პრობლემა. უპირატესად საჭირო გახდა იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელიც მოქმედებს ბავშვის განვითარების აღნიშნულ პრობლემაზე. აუცილებლობა მოითხოვს ფიზიკური ნაკლით და ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილ ბავშვთა მეცნიერულად დასაბუთებულ სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაიის მეთოდების ძიებას და გამოყენებას. მნიშვნელოვანია პრევენციული ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელი ბავშვის განვითარების საქმეს.

ერის ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდაში ჩამოთვლილი ზოგიერთი პრობლემის გადაჭრისთვის არც თუ უმნიშვნელო ადგილი მიეკუთვნება ჯანსაღი გარემოს შექმნას. რაციონალურ, დასაბუთებულ მიზანმიმართულ კვებას.

უკანასკნელ პერიოდში პედიატრთა და საერთოდ მედიკოსთა ფართო სამეცნიერო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა, განსაკუთრებით ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა კვებას. თანამედროვე კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები მიუნიშნებს მნიშვნელოვან კავშირზე კვების ხასიათსა და ბავშვის განვითარებას შორის.

ამიერკავკასიის მეორე საერთაშორისო კონფერენციის „ჯანმრთელი ბავშვი – მშვიდობით კავკასია“ ძირითადი მიმართულება მიძღვნილია კვების მნიშვნელობაზე ბავშვთა მკურნალობის კომპლექსში და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების რაციონალურ გამოყენებაზე ჯანმრთელი ბავშვის განვითარებისთვის. საუბედუროდ, ზოგჯერ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კვებას, როგორც მწვავე, განსაკუთრებით კი ქრონიკული დაავადებების დროს. რაციონალური კვება მკურნალობის კომპლექსში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს, არამედ გულსისხლძარღვთა, ძვლოვანი, ნერვული, შარდ-სასქესო და სხვა სისტემების როგორც ქრონიკული, ასევე მწვავე პათოლოგიური პროცესების დროს.

სადღეისოდ ბაზარი გაჯერებულია ბავშვთა კვების ხელოვნური და ნატურალური პროდუქტებით და კვების დანამატებით, რომელთა გამოყენებას განსაკუთრებული სიფრთხილე და გამოცდილება სჭირდება. აქ არ უნდა გავიგოთ, თითქოს რეკლამირებას ან პროპაგანდას ვუწევდე ხელოვნურ კვებას და წინააღმდეგი ვართ ახალშობილის ბუნებრივი მოთხოვნის – ძუძუთი კვების. ყველასათვის ცნობილია მისი მკაფიოდ გამოხატული უპირატესობა ნებისმიერ ხელოვნურ კვებაზე. სამწუხაროდ არაიშვიათად დედის ლაქტაციის შეწყეტა ადრე ხდება. ამასთან ხშირად დედის მიზეზით – სხვადასხვა პათოლოგიები, ფიზიკური დატვირთვა, სოციალური პირობები, ფსიქიკური ტრავმა და სხვა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. აღნიშნულის გამო იძულებული ვხდებით გამოვიყენოთ კვების ხელოვნური პროდუქტები და მათი დანამატები.

ბოლოს მინდა აღვნიშნო სოციალური პედიატრიის ფონდის დიდი შრომა, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთა, თუ ინდივიდუალურ პირებთან ერთად დაყენებული პრობლემის პრაქტიკული, მეცნიერული და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. დღევანდელი კონფერენციაც ამის დასტურია.

ფონდის თანამშრომლების მიერ შემუშავებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები: 1. „პირველადი და მეორადი იმუნოდეფიციტებისა და მემკვიდრეობითი დაავადებების მართვა”. (რეგისტრაციის №2003171).

2. „მალაბსორბციის სინდრომით მიმდინარე დაავადებათა ეტიოპათოგენეზის, კლინიკის, დიაგნოსტიკის, და მკურნალობის პრინციპები” (რეგისტრაციის №2003170).

3.,,,გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროგნოზირებისა და რეაბილიტაციის თანამედროვე პრინციპები იურა-ს და სწმ-ს დროს, მიტრალური სარქვლის პროლაბირებისა და გულის რიტმის დარღვევების დროს ბავშვთა ასაკში “რეგისტრაციის №2003357)..

4. „გულის ანთებითი და არაანთებითი შეძენილი დაავადებების (არარევმატიული კარდიტი, მიოკარდიოდისტროფია, კარდიომიოპათია, ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, არტერიული ჰიპერტენზია, არტერიული ჰიპოტონია, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის იშემიური დაავადება) პათოგენეზის, დროული დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროგნოზირებისა და რეაბილიტაციის თანამედროვე პრინციპები.” (რეგისტრაციის №2003358)..

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი დიდ მუშაობას აწარმოებს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, რეზიდენტებთან, ახალგაზრდა ექიმებთან. ფონდთან შექმნილია პედიატრ სტუდენტთა კავშირი „პესტო” და ახალგაზრდა პედიატრთა ლიგა, რომლებიც ფონდის აქტიური მხარდაჭერით ეწევიან სანიტარულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ფონდთან ერთად ხელმძღვანელობენ და აქტიურ დახმარებას უწევს სტუდენტებს, რეზიდენტებს და ახალგაზრდა ექიმებს სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში.

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას უშვებს გაზეთს „სოციალური პედიატრია” და სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „სოციალური პედიატრია”, მეთოდურ რეკომენდაციებს., ბუკლეტებს.

Veb gverdi: sppf.info.
E-mail: sppf@sppf.info

სკოლიოზის პროფილაქტიკა

ტანადობის დარღვევის გამოსასწორებელი ვარჯიშებია:

1) საწყისი პოზიცია - დავწვეთ ზურგზე გაშლილი ხელებით ისე, რომ ვეყრდნობოდეთ კეფას, ხელებს და მენჯს. გულმკერდი ზევით ავწიოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

2) საწყისი პოზიცია - დავდგეთ მუხლებზე ისე რომ ხელები ზურგს უკან ჩავჭიდოთ წვივებს ტერფთან ახლოს. გულმკერდის არეში მკვეთრად გადავიხაროთ უკან თავის უკან გადახრით, მენჯის წინ წამოწევით და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ.

ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

3) საწყისი პოზიცია - დავწვეთ მუცელზე, იდაყვში მოხრილი ხელები დავიდოთ თავს უკან ხელისგულებით კეფაზე, ტერფები შევაწყოთ კარადის, ან რაიმე საგნის ქვეშ დასაფიქსირებლად. სხეული გულმკერდის არეში ავწიოთ და გადავხაროთ რაც შეიძლება ზევით და უკან, იდაყვები გავშალოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ.

ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

4) საწყისი პოზიცია - დავჯდეთ სკამზე იდაყვში მოხრილი ხელები დავიდოთ თავს უკან ხელისგულებით კეფაზე, სხეული გულმკერდის არეში გადავხაროთ რაც შეიძლება უკან, იდაყვები გავშალოთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ.

ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

5) საწყისი პოზიცია- დავწვეთ მუცელზე, ხელები მოვხაროთ და



უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, ლოცვა-კურთხევით ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ თაოსნობით 2005 წლის 1-7 ოქტომბერს ჩატარდა II საერთაშორისო ფესტივალი *„ჩვენებურები“*

გულითადად მივესალმებით საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ყველა მონაწილეს. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი შეხვედრები ტრადიციული ხდება და სულ უფრო მეტ ადამიანს აერთიანებს.

დედასამშობლოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებთან კავშირის გაღრმავება, მათში ეროვნული სულისკვეთების განმტკიცება და სამშობლოში დაბრუნებისათვის ხელშეწყობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე და ამაში ყველამ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა.

ჩვენი ეკლესია ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. მინდა გაცნობოთ, რომ ქობულეთში, ზღვის პირას, არის შესანიშნავი ადგილი, სადაც ზაფხულობით გაზრახული გვაქვს მოვაწყოთ დასასვენებელი სახლი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ბავშვებისათვის. მათ უნდა მივცეთ საშუალება უფრო ახლოს გაეცნონ ჩვენს წესებს, ტრადიციებს, ჩვენს ისტორიასა და კულტურას; ვფიქრობთ, ეს განზრახვა ერთ-ორ წელიწადში რეალობად იქცევა და გაჩნდება კიდევ ერთი კერა თანამემაულეთა სულიერი გადარჩენისათვის.

შევთხოვ ღმერთს, უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!

+ ილია II

გიული ალასანია, ასოციაციის პრეზიდენტი, ფესტივალ „ჩვენებურების“ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი

ახალ საქართველოში ბევრ სასიამოვნო სიახლესთან ერთად „ჩვენებურებთან“ შეხვედრის ტრადიციაც დამკვიდრდა. გასულ წელს საქართველო მასპინძლობდა და ტაშს უკრავდა თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და ისრაელიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებმაც ქართული კულტურის ძალა კიდევ ერთხელ დაგვანახეს და ამით სიამაყის გრძნობა კიდევ ერთხელ განგვაცდევინეს. წელს „ჩვენებურების“ ფესტივალი მეორედ ტარდება. ამჯერად ფესტივალის გეოგრაფიული საზღვრები გაფართოვდა და საქართველოს მოქალაქეები შეხვდებიან ცხრა ქვეყნიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებიც წინაპრებისაგან ნაანდერძევ, საუკუნეებში გამოტარებულ, ნალოლიავებ შემოქმედებას დღესაც ხელუხლებლად ინახავენ.

განსხვავებულია ბედის მიუხედავად, ჩვენებურებს ქართული კულტურისა და დედასამშობლოს სიყვარული აერთიანებთ. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ერთგული მოქალაქეები არიან და ღირსეულად ატარებენ ქართველის სახელს, ამავე დროს არ წყვეტენ კავშირს დედასამშობლოსთან და ქართულ კულტურას აცნობენ მსოფლიოს.

დღეს გაერთიანების დროა. საქართველო ფართოდ აღებს კარებს და იბრუნებს თავის შვილებს. ბევრმა ქართველმა აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა და მხარში ამოუდგა ქვეყნის მშენებლებს. საქართველო იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე სამყაროში და უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველები ამ გზაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მივესალმები ჩვენს თანამემამულეებს, დიდ ბედნიერებასა და წარმატებებს ვუსურვებ.

დარეჯან კუხიანიძე, ასოციაციის დამფუძნებელი, ფესტივალ „ჩვენებურების“ კოორდინატორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ფესტივალი „ჩვენებურები“ აგრძელებს სიცოცხლეს. ამჯერად ჩვენ გვეწვიენ ქართული კულტურის მოამაგენი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მათი უმრავლესობა ჩვენებური, ანუ ეთნიკური ქართველია, მაგრამ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ის ადამიანებიც, რომლებიც არ არიან ჩვენი თანამემამულენი, რომლებსაც ცოტა ხნის წინ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ქართულ კულტურაზე, ქართულ სიმღერაზე. დღეს ისინი ქართულად მღერიან, მღერიან სიამოვნებით, სიყვარულით.

ქართული ხალხური სიმღერის ფენომენზე ბევრი დაწერილა და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. ჩვენი მრავალხმიანი სიმღერა ხომ ის საძირკველია, რომელზედაც ეფუძნება ერის მეობა, ხასიათი, შინაგანი თვისობრიობა. მავანნი სულ ტყუილად თვლიან გაცვეთილად ისეთ სიტყვებს, და, რაც მთავარია, მცნებებს,როგორიცაა „სამშობლო“, „მამული“, „თავდადება“; არადა, მადლობა ღმერთს, არსებობს მარადიული ღირებულებანი, რომელთაც დრო-ჟამი ვერაფერს აკლებს პრაგმატიზმით გაჯერებულ ჩვენს დროშიც, ასეთი ღირებულებაა ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა, ქართული ენა და ყველაფერი ეს მასაც ეკუთვნის, ვინც„ სოფლის უკუღმა ტრიალს“ აჰყოლია, ოდენ მსოფლიო მოქალაქედ უგრძვნია თავი და საკუთარი აღარ ახსოვს... ასეთებს ვურჩევთ, მობრძანდნენ ფესტივალზე და საკუთარი თვალით იხილონ მაჭახელას ბერიკაცები, სტამბოლელი ქართველები: იბერია და ბაიარი, ლაზი ბიროლი, ფრანგული ანსამბლები: „ირინოლა“ და „მარანი“, რუსეთში მოღვაწე „ლაკადა“ და „იბერია“, საინგილოდან „ლაზარე“, გერმანიაში დაარსებული ქართველ მგალობელთა გუნდი, ინეგოლის მოცეკვავეთა ცეცხლოვანი ანსამბლი, ანსამბლები უკრაინიდან და საბერძნეთიდან.

საოცარი ჰარმონიის ქართულ სიმღერებს არა მარტო ხმით, გულითაც მღერიან ჩვენი სტუმრები.

ჩვენებურების გული კი მონატრებული სამშობლოს სიყვარულით ძგერს...

ბედნიერი არიან ისინი, რადგან სამშობლოსათვის უძგერთ გული.



გრიგოლ კალანდაძე – ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი

უსწრაფესი ტემპებით განვითარებად მსოფლიოში მხოლოდ ის ერები და საზოგადოებები მიაღწევენ წარმატებას, რომელთაც შეუძლიათ წარსული, აწმყო და მომავალი ერთიან, უწყვეტ, განვითარებად კონტექსტად აქციონ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ გზაზე კულტურული თვითმყოფადობაა. პიროვნული თუ კორპორაციული სიძლიერე სწორედ ტრადიციების სიმყარით, სხვისაგან განსხვავებულობის ხარისხით მიიღწევა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმოფანტული ქართველობა საკუთარ ფესვებს არ ივიწყებს.

სასურველია, რომ ქართულმა საზოგადოებამ შეიმუშაოს მიდგომები, რომლებიც ჩვენს დიასპორებს უფრო აქტიური საქმიანობის შესაძლებლობას მისცემს.

იქნებ ფესტივალი „ჩვენებურები“ ამაშიაც დაგვეხმაროს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 19 დეკემბერს 13 საათზე ჩატარდა კონფერენცია თემაზე „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და სოციალური საკითხები“.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესასწავლად წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევები საკმაოდ მნირია, ამიტომ, ბუნებრივია, სრულად ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობასა და რეალურ სურათს. მწირი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეკრება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა რბილად რომ ვთქვათ საგანგაშოა.

ბუნებრივია, წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს დღევანდელი ხელისუფლება მოკლე ვადაში ვერ გამოასწორებს, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორმა, დონორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ერთიანი სამომავლო გეგმა დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად.

კონფერენციაზე დაისვა საკითხი სამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის ერთიანი სამოქმედო გეგმებით მუშაობის შესახებ. უნდა შეიქმნას ერთიანი საინიციატივო მუშა ჯგუფი, რომელიც ითავებს და მიზნად დაისახავს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესაწავლას.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსსუ რექტორმა დავით თელიამ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ელგუჯა ბერიამ, აკად. გიორგი ჩახუნაშვილმა, პროფ. ირაკლი ციციშვილმა, პროფ. გიორგი ბურკაძე და სხვ.

ხელისგულებით დაეყრდნოთ იატაკს. ხელების გაშლით ავიწიოთ გულმკერდით ისე, რომ მენჯით კვლავ იატაკს ვეყრდნობოდეთ, თავი რაც შეიძლება უკან გადავხაროთ და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ.

ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

6) საწყისი პოზიცია - დავწვეთ ზურგზე, ფეხებსა და ხელებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად გავაკეთოთ ხიდი და ჩავისუნთქოთ, დავბრუნდეთ საწყის პოზიციაზე ამოვისუნთქოთ.

ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

7) საწყისი პოზიცია - დავდგათ 2 სკამი ერთმანეთისადმი ზურგით, დავდგეთ მათ შორის მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით და ისე, რომ გაშლილი ხელები ეხებოდეს სკამის სახურგეს. სხეულს ვხრით ჰორიზონტალურ პოზიციამდე ზევით-ქვევით მადლა აწეული თავით. სუნთქვა თავისუფალი. ვარჯიში გავიმეოროთ ნელი ტემპით 8-10-ჯერ.

ვარჯიშები ტანვარჯიშული ჯოხის საშუალებით

1. ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი აგვაქვს ჯოხი თავს ზემოთ, თვლაზე ორი საწყისი მდგომარეობა. სრულდება10-ჯერ.

2. ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი ჯოხისა და ფეხის გადატანა უკან. ვასრულებთ მონაცვლეობით 10-12-ჯერ

3. ს.მ. სწორი დგომა, ჯოხი ჰორიზონტალურად, თვლაზე ერთი წინ ვარდნა ერთ ფეხზე, ჯოხი თავს ზემოთ გადადის. თვლაზე ორი ს.მ. თვლაზე სამი ვარდნა მეორე ფეხზე, ოთხი ს.მ. 10-ჯერ

4. ს.მ. ჯოხი ზურგზეა დაფიქსირებული. ვასრულებთ წინ ზნექებს. 10-15-ჯერ;

5. ს.მ. ჯოხი ვერტიკალურად წინ მოვათავსოთ. ვასრულებთ ჩაჭიმვებს ჯოხზე 10-ჯერ



სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის რაიონი – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 3400 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს.

საქველმოქმედო აქცია მარნეულში 19.II.2005ß

ჯემალ ონიანის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებიც ანთებული ჩირაღდანივით იწვიან და გარშემო მყოფებს გზას უნათებენ. მათ გარშემო

ათეულები და ასეულები ხსნას პოულობენ. ისინი არ ეძიებენ პატივსა და დიდებას. მათი ცხოვრების კრედოა სიკეთე, ვაჟკაცობა, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული. ისინი არ კვდებიან, მხოლოდ გარდაისახებიან, გარდაიცვლებიან, რათა უფრო მეტად ამაღლდნენ და ცათა სასუფევლიდან უკეთესად ემსახურონ დედამიწაზე დაწყებულ საქმეს. ასეთები ცოტანი არიან, მაგრამ მრავალთა ტვირთს ატარებენ. ალბათ, მათმა თავგანწირვამ გადაარჩინა კაცობრიობა.

განგებამ სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნა ჯემალ ონიანი. ახლობლები „მაარეს“ ეძახდნენ. „მაარე“ სვანურად კაცს ნიშნავს. როდის შეარქვეს ეს სახელი, არავის ახსოვს. ის კია, რომ იგი ზუსტად ასახავდა მის ხასიათს. სვანეთის ულამაზეს ბუნებაში გაზრდილი, საოცრად კოლორიტული პიროვნება იყო – დაუზარელი, ენერგიული, პირდაპირი, ვაჟკაცური, ერთგული და რაინდული. უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, თავისი სათაყვანებელი სვანეთი. მის ყოველ ქმედებაში, მის ხასიათში, მის სიდინჯესა თუ სილაღეში სვანეთის ბუმბერაზ მთათა გამოძახილი ზეიმობდა.

ბატონი ჯემალი იყო სამაგალითო მეუღლე, სამაგალითო მამა და ბაბუა. იყო საიმედო ნავსაყუდელი თავისი ოჯახის წევრებისათვის. ბატონო ჯემალ! ისევ გიხმობენ თქვენი ვაჟები, თქვენი ომახიანი შეძახილი ენატრებათ მათ.

„შენ რომ გენატრები,
მეც ხომ მენატრები,
გეფიცები ყველას, ახლაც
მელანდები,
გადმომყურებს ყველგან
ვაჟკაცური სახე,
შენი გალიმება კიდევ დამანახე“.
(შვილი ს. ონიანი)

თქვენი ღვაწლი, თქვენზე ნათელი მოგონებანი, თქვენი ლოცვა დაიფარავს თქვენს შთამომავლობას უკუნისამდე.

რთული და შინაარსიანი ცხოვრების გზა გაიარა ჯემალ ონიანმა. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა ღირსეული სახელი დატოვა – სკოლაში, საბჭოთა არმიაში, სამედიცინო ინსტიტუტში, საავადმყოფოში, სტუდენტებთან თუ თანამშრომლებთან; პაციენტებთან თუ მათ ახლობლებთან. პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე იგი არასოდეს არ ეძებდა მარტივ გზას მიზნის მისაღწევად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1964-67 წლებში ცხოვრობდა გორკის ოლქში ახალდაქორწინებულ მეუღლესთან, ექიმ-პედიატრ ნუნუ ხაჭვანთან ერთად და მუშაობდა გორკის ოლქის შახურის რაიონის რკინიგზის საკვანძო საავადმყოფოში ჯერ ორდინატორად, შემდეგ განყოფილების გამგედ. სამშობლოს მონატრებამ იმძლავრა, ამიტომ დაბრუნდა საქართველოში ცოდნის გაღრმავების წადილით. სწავლობდა თსსი ასპირანტურაში, 1972 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ახალშობილთა ნეკროზული ფლეგმონა“. აქედან იწყება ახალი ეტაპი მის საექიმო მოღაწეობაში. იგი 1970-2002 წლებში მოღვაწეობდა თსსი ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1994-98 წლებში იყო ბ/2 საავადმყოფოს მთავარი ექიმი. 1998-2002 ასრულებდა თსსუ პედიატრიული კლინიკის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას. 2002 წლიდან მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში დოცენტად. იგი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ბავშვთა ფონდთან. მინიჭებული აქვს ა. ნერეთლისა და ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიები.

ბატონი ჯემალი შესანიშნავად ათავსებდა ერთმანეთთან პროფესიონალიზმსა და კაცთმოყვარეობას. პაციენტები მისი სახით მხსნელსა და მეგობარს იძენდნენ. იგი ყოველთვის მზად იყო სხვისი სიცოცხლის გადარჩენისათვის ებრძოლა.

ბატონი ჯემალ ონიანი 86 სამეცნიერო-პრაქტიკული შრომის ავტორია, მათ შორის 4 მეთოდური რეკომენდაცია, იგი იყო პროფ. ლ. ავალიანის საუკეთესო მოწაფე. მას, როგორც მეცნიერს იცნობდნენ საქართველოში და უცხოეთში.

მისი ხელმძვანელობით აღიზარდა მრავალი ქირურგი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გადაუდებელი ქირურგიის ბრიგადას.

დიდი ლხინისა და ჭირისუფალი იყო ბატონი ჯემალი. ამიტომ ერგო დიდი განსაცდელი ყოფნა-არყოფნის საზღვარზე. ეს გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა. ისე გაიარა გოლგოთას გზა, რომ ბევრმა არც კი ვიცოდით, როგორ ჩუმად იტანჯებოდა... რჩეულთა ხვედრია წამების დათმენა... და მაინც მისი უკვდავებაში გადასვლით სიცოცხლე გამარჯვებას ზეიმობს მის ოჯახში.

მისი ორი ვაჟიშვილი, ხუთი შვილიშვილი და მისი რძლები, მარინე და ნინო, რომლებიც ოჯახში ექიმთა ტრადიციას აგრძელებენ, დიდი ნუგეშია მისი მეგობრებისთვის.

შვილებსა და შვილიშვილებს თავს დასტრიალებს ბატონი ჯემალის ღირსეული მეუღლე, ქალბატონი ნუნუ. საქართველოში დედა კაცია... იგი მდუმარედ ებრძვის სევდას, ჭირთა თმენა დიდიმადლია...

ძნელია წარსულში საუბარი ჯემალ ონიანზე. მან ბევრი განუხორციელებელი ოცნება წაიღო თან.

„გავა წლები, არ გაივლის დარდი,
შენს საფლავზე სულიქნება ვარდი,
ყველამ ვიცით, ღმერთს რომ მიჰყავს კარგი,
ამას ვიტყვი, კაცი იყავ ნაღდი“.
(შვილი ს. ონიანი)

დაე, მარადიულად ენთოს ვაჟკაცობის ცეცხლი ონიანების კერაზე. მისი შთამომავლობა იმ სიკეთეს გააგრძელებს, რომელსაც ჯემალ ონიანმა დაუდო სათავე. მის გახსენებას კი ცრემლი კი არა, ამომავალი მზის სვანური საგალობელი „ლილე“ უფრო შეჰფერის.

უფალმა ნათელში ამყოფოს ჯემალ ონიანის სული.

გახსენება

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“

(გაზეთი „სოციალური პედიატრია“ №9, 2003 წელი)

თამაზ მარინაშვილი – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრის დოცენტი და სასწავლო ნაწილი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის გამგეობის წევრი და მდივანი, პედიატრიული კლინიკის დირექტორის მოადგილე, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მდივანი.

ჭეშმარიტებას ბრძანებს ფრანგი მწერალი, მფრინავი და სპორტსმენი სენტ ეკზიუპერი: „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. ამასვე ეხმიანება დიდი ქართველ მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“

მთელი ცხოვრება განვიცდიდი ერთი მხრივ სიამაყეს საკუთარი გვარის გამო, მეორე მხრივ მუდამ შიშის გრძნობა მეუფლებოდა, შევძლებ კი გვარის ღირსეული წარმომადგენელი გავხდე?

ჩემი პაპა გიორგი მარინაშვილი ქართლის მართლმადიდებელი ეკლესიების დეკანოზი, ქართული ეკლესიის განძეულობის თავდადებული დამცველი იყო. იგი წინ აღუდგა გიგლა ბერბიჭაშვილის ცდას, გაეძარცვა ქართლის ეკლესიები და ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. მემკვიდრეებიც შესანიშნავი მამულიშვილები ჰყავდა დეკანოზს: ალექსანდრე მარინაშვილი, გენერალ-მაიორი, მწერალი, ჟურნალისტი ჟურნალ „არგუმენტი ი ფაქტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მოღვაწეობდა მოსკოვში; პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი დიდი პატრიოტი, აფხაზეთის ომის გმირი, უდროოდ დაღუპული.

მამაჩემი, სახალხო ექიმი, დავით მარინაშვილი კიევის წმინდა ვლადიმირის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი, ქართულ ცხენოსანთა პოლკის უფროსი ექიმი 1920 წლის თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების მონაწილე, გენერალ მაზნიაშვილის მკურნალი ექიმი. დავით მარინაშვილი ექიმთა ერთ-ერთ პირველ თაობას ეკუთვნოდა და 40 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს.

არ მიყვარდა სასწაულების და სამსახურების ცვლა. პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ვსწავლობდი თბილისის რკინიგზის №2 ვაჟთა საშუალო სკოლაში, რომელიც ქალაქის კოლორიტულ უბანში, დიდუბეში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარეობდა. მიუხედავად უმძიმესი პერიოდისა სკოლაში, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა მხრივ სიკეთე და სიყვარული სუფევდა. ეხლაც თვალწინ მიდგას ჩვენი უსაყვარლესი ქართული ენის მასწავლებლის კლიმენტი კაპანაძის გაოგნებული სახე: იმ დროს უმაღლესი ინსტანციის ბრძანებით სკოლებში ვაჟა-ფშაველას სწავლება აიკრძალა, მასწავლებელი შეგვკრებდა რამოდენიმე სანდო მოსწავლეს და გატაცებით გვიკითხავდა ვაჟას უკვდავ სტრიქონებს.

როგორი ღირსეული მამულიშვილები გაიზარდნენ ჩვენს კლასში, პროფესორი რიჩარდ მეგრელიშვილი, გროსმაისტერი ბუხუტი გურგენიძე, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე და სხვა.

ანკი როგორ შეიძლებოდა იმდროინდელ თბილისში ბოროტებას ეზეიმა, როდესაც ყოველდღიურად ვხვდებოდით პლეხანოვის პროსპექტზე მოსეირნე გალაკტიონს, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე კი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქართული სიტყვის დიდოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია დაბრძანდებოდა. ვერ ვცილდებოდით რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს, სადაც გენიალური მსახიობები მოღვაწეობდნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ელენა გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ჟორა შავგულიძე და მრავალი სხვა.

სკოლის დამთავრებისთანავე 1952 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. აქაც საოცარი სამყარო დამხვდა, პედაგოგებად განგებამ მომიჩინა ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლები, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები: აკადემიკოსები ალექსანდრე ნათიშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, ზაქარია მაისურაძე და სხვანი.

მუშაობის დაწყების შემდეგ ბედმა კვლავ გამანებივრა: მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა ქართული პედიატრიის ყველა კორიფესთან: დიდ მეცნიერთან და პრაქტიკოსთან, პროფესორ მარიამ ბოკერიასთან, საოცრად მზრუნველ, მაგრამ მკაცრ პროფესორ ფელიციტა შოთაძესთან, პროფესორ ნოვატორ ირაკლი რცხილაძესთან, მაღალი ადამიანურით ვისებების მქონე აკადემიკოს ირაკლი ფაღავასთან, საოცარ დინჯ და ბრძენ პიროვნებასთან პროფესორ ვლადიმერ თოხაძესთან, ერუდირებულ და ნიჭიერ პროფესორ ნოდარ ხერხეულიძესთან, ყველასათვის საყვარელ, დიდებულ ადამიანთან და პროფესიონალთან პროფესორ მერი გელოვანთან. ამ ადამიანების მიმართ გამაჩნია საოცარი მადლიერების გრძნობა. მათი დამსახურებაა თუ კი რაიმე თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა გამაჩნია.

ცალკე მინდა გამოვყო ჩემი ურთიერთობა უფროს მეგობართან და მასწავლებელთან, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერ, პროფესორ იოსებ კვაჭაძესთან. ჩვენმა ხანგრძლივმა თანამშრომლობამ ბევრი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. 1969 წელს ბატონმა იოსებ კვაჭაძემ, ბატონმა მირიან ქუჩუკაშვილმა და მე საქართველოში პირველად ჰიდროცეფალიით და დაუნის დაავადებით შეპყრობილ ახალშობილის ზურგის ტვინის სითხეში გამოვყავით პარიზიტი ტოქსოპლაზმა გონდი. პირველად ჩვენს მიერ იქნა ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ თანდაყოლილი ინფექციები საქართველოს რესპუბლიკისათვის უცხო არაა და იგი დიდ საფრთხეს უქმნის ერის მომავალს. ეს მოსაზრება ნახევარი საუკუნით უსწრებდა წინ თანდაყოლილი ინფექციების დღევანდელ ბუმს.

1972 წლიდან კათედრაზე დავიწყეთ რევმატული ჯგუფის დაავადებების კლინიკის, იმუნოლოგიისა და იმუნოგენეტიკის საკითხების შესწავლა. ამ საკითხზე გამოქვეყნებულმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

ჩემს მიერ ბატონ იოსებ კვაჭაძესთან ერთად რესპუბლიკაში პირველად აღწერილია 10 ახალი სინდრომი და დაავადება.

დასტამბული მაქვს პედიატრიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი 83 სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოქვეყნდა,როგორც ჩვენში, ასევე საზვარგარეთ. ვარ სამი სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრი.

ძალზე მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ის ძალისხმევა,რაც მოვახმარეთ საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პედიატრთა ასოციაციად გარდაქმნას, რის შემდეგ საქართველოს პედიატრები, პედიატრთა მსოფლიო ასოციაციის წევრებად მიიღეს. მაშინ მე ასოციაციის გენერალური მდივანი გახლდით.

1993 წელს თბილისის ბავშვთა №2 კლინიკურ საავადმყოფოს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და კლინიცისტი, პროფესორი მანანა ჟვანია. მე კი დირექტორის მოადგილე გახლდით. საავადმყოფო დარბეული და გაჩანაგებული იყო. ქალბატონ მანანას ხელმძღვანელობით მდგომარეობა გამოსწორდა. საბოლოოდ კი თსსუ-ს რექტორის აკადემიკოს რ. ხეცურიანის ძალისხმევით საავადმყოფო გადაკეთდა უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკად – დირექტორი პროფ. რ. კუტუბიძე. მასში თავმოყრილია ქართული პედიატრიული ელიტის ძირითადი ძალები.

პროფესორმა მანანა ჟვანიამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაიწყო რევმატული ჯგუფის დაავადებების და თანდაყოლილი ინფექციების შესწავლა. აღნიშნული საკითხი კათედრის ძირითადი თემატიკა გახდა.

თანდაყოლილ და მემკვიდრეობით დაავადებებს რამოდენიმე კონფერენცია მიუძღვნა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ბატონი იოსების ღირსეული მოწაფე, პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, ფონდის მდივანი მე გახლავართ.

რაც შეეხება საშეფო და საკონსულტაციო მუშაობას, მას ინსტიტუტში სწავლების პერიოდიდან ვეწევი. აღნიშნული მუშაობა პროფ. ი. კვაჭაძემ მაღალ დონეზე აიყვანა, ადრე თუ იგი ერთეული ენთუზიასტების მხრებზე გადადიოდა, დღეს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა გ. ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით საკონსულტაციო მუშაობა გააჩაღა მთელს საქართველოში, რომელშიაც მონაწილეობს ყველა მოქმედი მაღალკვალიფიციური ქართველი პედაგოგი.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საკონსულტაციო მუშაობაში. წლების განმავლობაში ვიყავი თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს, თბილისის ბავშვთა IV პოლიკლინიკის, თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის კონსულტანტი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის მანძილზე 30 ათასზე მეტ ბავშვს ჩავუტარე კონსულტაცია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ცხოვრებაში ყველაზე მკაცრი მსაჯული საკუთარი სინდისია. მოღვაწეობის 43 წლის გადასახედიდან ადამიანი, უნდა თუ არა, აუცილებლად დაუსვამს კითხვას საკუთარ თავს: რისთვის იცხოვრა, საერთოდ ღირდა თუ არა მისი ამქვეყნად მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ორგვარია: პირველი – კმაყოფილების გრძნობა, უამრავი მადლიერი პაციენტი, მადლიერი სტუდენტი, სამეცნიერო თუ პრაქტიკული წარმატებების სიხარული; მეორე მხრივ კი ეჭვის ჭია გღრღნის, ამოწურე თუ არა შენი შესაძლებლობები, გაიღე თუ არა ყველაფერი სამშობლოსათვის? პასუხი ხალხს, მომავალს ეკუთვნის.

P.S. ბატონმა თამაზმა თავდაუზოგავად ამოწურა თავისი შესაძლებლობები, დასანანია, რომ ჩვენგან წავიდა ყველასათვის საყვარელი, კეთილი, თავმდაბალი, უპრეტენზიო მეცნიერი და ექიმი-კლინიცისტი.

BLACKYELLOWMAGENTA

ორთოპედიული პორსეტი
(ხერხემლის არეკვანცლისათვის)
ხერხემლის ესპანდერი

*** ხერხემლის გამრუდების პროფილაქტიკისათვის;**
*** დაღლილობის მოხსნისათვის;**
*** რეკომენდირებულია ყველასათვის 6-დან 25 წლამდე.**

ესპანდერის დანიშნულება:
სკოლამდელი ბავშვებისათვის ხერხემლის პროფილაქტიკისათვის;
დაღლილობის მოსახსნელად.

ჩაცმის წესი

1. ესპანდერი უნდა იყოს მორგებული თეთრეულის ზემოთ.
2. მარყუჟებში ხელების გაყრის შემდეგ გაასწორეთ რეზინები მხრებზე.
3. ესპანდერი ითვლება სწორედ მორგებულად, თუ ჩაცმის შემდეგ მომხმარებელი გრძნობს რეზინის დაჭიმვის ძალას.

ექსპლუატაციის ვადა 6 თვეა.

ესპანდერის ტარების დროს თქვენ დაზღვეული ხართ მოხრილობისგან.

ესპანდერი მიზანშეწონილია ბავშვებისათვის 6-14 წლამდე.

მოზრდილებისათვის, იმ პიროვნებისათვის, ვისი სამსახურიც მჯდომიარე ხასიათს ატარებს.

ესპანდერი მუდმივად აიძულებს ადამიანს გაიმართოს ხერხემალში და გაშალოს მხრები.

ესპანდერი მოკლე ხანში გახდება თქვენი განუყრელი მეგობარი.

(დამზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მენარმეთა დასაქმების კავშირის“ მიერ.)

Pfizer
Sulperazon
Cefoperazone/Sulbactam IM/IV

სულპერაზონი

β — ლაქტამაზის ინჰიბიტორისა და ცეფალოსპორინის პირველი კომბინაცია





სულპერაზონი (ცეფოპერაზონი/სულბაქტამი) წარმოადგენს III თაობის ცეფალოსპორინის – **ცეფოპერაზონისა** და β-ლაქტამაზის ინჰიბიტორის – **სულბაქტამის** კონბინაციას.

ქართული წარმოების ბავშვთა კვება

GNK



ნატურალური პროდუქცია
ნატურალური პროდუქტებისაგან

იმუნოთერაპიული სამკურნალო პრეპარატი
ანტიკანცეროგენული თვისებებით

GA-40



АНТИКАНЦЕРОГЕННЫЙ И ИММУНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ПРЕПАРАТ

ANTICANCEROGENIC AND IMMUNOTHERAPEUTIC AGENT

GA-40 წარმოადგენს პოლიპეპტიდების კომპლექს რომელიც მიღებულია ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მცენარეული ნედლეულისაგან.

GA-40 გამოირჩევა:

✦ ორგანიზმზე უსაფრთხო მოქმედებით

✦ ორგანიზმში არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნებზე ორმაგი მოქმედებით: პირდაპირ – მანეკროზირებელი და არა პირდაპირი – ანტისიმსივნური იმუნიტეტის აქტივაციით.

✦ იმუნოკორექციის უნარით, რაც განსაზღვრავს მის ფართო სპექტრით წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ.

რეგისტრაცია MP №003008
პატენტი P 2256

იმუნორეაბილიტაციისათვის საკონსულტაციოდ შეგიძლიათ მიმართოთ:

ბავშთათვის
↓
თ.ს.ს.უ. გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის იმუნოგენეტიკური პროგნოზირების ლაბორატორია
ტელ: 52-75-47

მოზრდილთათვის
↓
საკონსულტაციო-სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი. მის.: ვაჟა-ფშაველა 27ბ, მე-3 სართ., 25 კაბ.
(რ.ც.კ.ს. გვერდით ყოფილი რ.ც.კ.ს. პოლიკლინიკა)
ტელ: 877-41-44-94

მთავარი რედაქტორი - გ.ჩახუნაშვილი
მოადგილე - თ. მიქელაძე
მოადგილე - გ.ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე

მისამართი: ლუბლიანას ქ.21
ტელ. 52-75-47

გასაყიდად არ გავრცელდება